განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

მშენებლობა

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

18 აგვისტო, 2022 წელი

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი - ალექსანდრე

გვარი - წაქაძე

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	მშენებლობა
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მეექვსე
4	კვალიფიკაციის დასახელება	მშენებლობის ინჟინერიის ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია 0732
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი[5]	ახალგაზდობის გამზ. №98, ქუთაისი, 4600, საქართველო. სასწავლო კორპუსი № 7, 8, 9, 10.
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 01.07.2021, № 714272
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	01.07.2021
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	01.07.2022
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	31.12.2026

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
2. სასწავლო კურსების („შესავალი სპეციალობაში“, „მშენებლობის საკანონმდებლო უზრუნველყოფა“ და სხვა) შინაარსის შეცვლა საგნისთვის რელევანტური საკითხების წინა პლანზე წამოწევის მიზნით.

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

3. რეკომენდირებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების „არქიტექტურა“, მასალათაგამძლეობა“, „საშენი მასალები“ „სამშენებლო მექანიკა 1,2“, „სამშენებლო ხაზვა 2“ შინაარსი, მოცულობა (გაზრდის მიმართულებით) და შესაბამისობაში მოვიდეს კურსების სათაური და შინაარსი სწავლების საფეხურთან და პროგრამის სწავლის შედეგებთან.
4. პრაქტიკულ კომპონენტზე მეტი აქცენტების გაკეთება სწავლის შედეგების სრულად მისაღწევად.
5. სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევისთვის სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდების დაზუსტება, გამრავალფეროვნება, დარგის სპეციფიკისა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით;
6. შეფასების ფორმებისა და აქტივობების გაზრდა ზოგიერთ საგანში.
7. უშუალოდ სასწავლო პროცესში ანალიტიკური უნარების განმავითარებელ მეთოდებზე (ანალიზი და სინთეზი, შემთხვევის ანალიზი და სხვა) მეტი ყურადღების გამახვილება.
8. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს როგორც აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის ამაღლება და შენარჩუნება, ისე შეფასების თანამედროვე მეთოდებზე, ფორმებსა და კრიტერიუმებზე ტრენინგების ორგანიზება.
9. რეკომენდირებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2022 წლის 01 ივნისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილ იქნა ანგარიში უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ ანგარიშის წარდგენის ბოლო ვადა უსდ-ს განსაზღვრული ქონდა 2022 წლის 27 ივნისით, რაც არ დაურღვევია. 2021 წლის 24 ივნისს წარმოდგენილი დასკვნით, პროგრამის შეფასებისას გამოთქმული რეკომენდაციების და შენიშვნების გათვალისწინების საკითხებზე უსდ-ს მხრიდან მუშაობდა ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით: ასოცირებული პროფესორი პაატა გერაძე - პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი; პროფესორი ომარ კიკვიძე - ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის განმახორციელებელი; პროფესორი პარმენ ყიფიანი - მშენებლობის მიმართულების ხელმძღვანელი; ასოცირებული პროფესორი მერაბ ბარათაშვილი - პროგრამის განმახორციელებელი; ასოცირებული პროფესორი სვეტლანა მინდაძე - პროგრამის განმახორციელებელი; ასოცირებული პროფესორი ხვიჩა ახვლედიანი - პროგრამის განმახორციელებელი.

რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს ახორციელებდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი თეა კორძაძე, რომელიც აწყობდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს მეთოდური კონულტაციების გაცემის და მიმდინარე არსებულ მგომარეობაზე ინფორმაციის მიღების მიზნით.

---

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

რეკომენდაცია I გადაწყვეტა - განხორციელდა დასაქმების ბაზრის დამატებითი კვლევა. კვლევის ანალიზით, შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად, პროგრამის მუშა ჯგუფის მიერ მოხდა პროგრამის სწავლის შედეგების რევიზია და მოთხოვნებთან მეტად დაახლოება. პროცესის განხორციელებაში უშუალოდ იყვნენ ჩართული პროგრამის ხელმძღვანელი, მიმართულების ხელმძღვანელი და განმახორციელებელი პერსონალი;

რეკომენდაცია II გადაწყვეტა - რეკომენდაციის შესრულება დაევალა შესაბამისი სასწავლო კურსების ავტორს მერაბ ბარათაშვილს და პროგრამის ხელმძღვანელს. სილაბუსის ავტორისა და პროგრამის მუშა ჯგუფის კოორდინაციით მოხდა რეკომენდაციაში მოცემული სასწავლო კურსების შინაარსის ოპტიმიზაცია. წინა პლანზე იქნა წამოწეული კურსების სწავლის შედეგებისა და დასახელების შესაბამისი თემატიკა.

რეკომენდაცია III გადაწყვეტა - რეკომენდაციის შესრულების პროცესში ჩართული იქნა სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალი: ამირან გრძელიშვილი, ომარი კიკვიძე, ნოდარ ცირეკიძე, ზაზა ჟორჟოლიანი. ასევე მუშა ჯგუფის წევრები პარმენ ყიფიანი და ხვიჩა ახვლედიანი. სასწავლო კურსებში ოპტიმიზაციის მიზნით ავტორებისა და განმახორციელებელი პედაგოგების მიერ გადაიხედა სილაბუსები და შესაბამისობაში მოვიდა კურსების სათაურები, შინაარსი და პროგრამის სწავლის შედეგები:

- ☑ „არქიტექტურა“ – შეიცვალა კურსის სათაური აკრედიტაციის საბჭოს წევრების შენიშვნის შესაბამისად და ჩამოყალიბდა ფორმულირებით: „შენობა ნაგებობების არქიტექტურა“, დაზუსტებულია სწავლა-სწავლების მეთოდები, შეიცვალა კურსის ფორმატი, მეტი ყურადღება დაეთმო საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას შენობების დაგეგმარებისას (პროგრამული პაკეტის ArchiCAD-ის შესწავლის ლაბორატორიულ
- ☑ პრაქტიკუმს დაემატა 15 საათი. დაზუსტებულია ლექციების თემატიკა, ძირითად ლიტერატურაში დაემატა თანამედროვე გამოცემები.
- ☑ „მასალათაგამძლეობა“ – დაზუსტებულია კურსის მიზანი და სწავლის შედეგები პროგრამის მიზანის და სწავლის შედეგების გათვალისწინებით. დაზუსტებულია სწავლა-სწავლების მეთოდები, ძირითად ლიტერატურას დაემატა ახალი გამოცემები.
- ☑ „საშენი მასალები“ – დაზუსტებულია კურსის სწავლის შედეგები, სწავლა-სწავლების მეთოდები, ძირითად ლიტერატურაში ჩაენაცვლა ახალი გამოცემები, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისად
- ☑ ცვლილებები იქნა შეტანილი კურსის შინაარსში - დაზუსტებულია ლექციების თემატიკა, დაემატა პრაქტიკული მეცადინეობები სალექციო თემატიკის მიხედვით.
- ☑ „სამშენებლო მექანიკა 1, 2“- დაზუსტებულია კურსების სწავლის შედეგები, სწავლა-სწავლების მეთოდები, ძირითად ლიტერატურაში ჩაემატა ახალი გამოცემები, მოხდა კურსის შინაარსის ოპტიმიზაცია.
- ☑ „სამშენებლო ხაზვა 2“ - დაზუსტებულია კურსის სწავლის შედეგები, სწავლა-სწავლების მეთოდები, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისად ცვლილებები იქნა შეტანილი კურსის შინაარსში.

რეკომენდაცია IV, V, VI და VII გადაწყვეტა - რეკომენდაციების გათვალისწინების პროცესში ჩართული იყო პროგრამის ხელმძღვანელი, მიმართულების ხელმძღვანელი, და სილაბუსების ავტორები. სასწავლო კურსების სილაბუსების ავტორების და სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდა სილაბუსების სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდების ანალიზი და მის საფუძველზე სილაბუსების ოპტიმიზაცია.

რეკომენდაცია VIII გადაწყვეტა - რეკომენდაციის გათვალისწინების პროცესს ხელმძღვანელობდა პაატა გერაძემ, ხოლო პროცესში ჩართული იყო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი. 2021-2022 სასწავლო წლის განმავლობაში პროგრამის აკადემიურმა პერსონალმა მონაწილეობა მიიღო

უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ძალებით ორგანიზებულ სემინარებში.

რეკომენდაცია IX გადაწყვეტა - რეკომენდაციის გათვალისწინების მონიტორინგი განახორციელა პაატა გერაძემ. სწავლის შედეგების მიღწევადობის ანალიზი ზემოთ აღწერილი სქემის მიხედვით მოხდება სტუდენტების მიერ აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამის სრული კურსის დასრულების შემდეგ. პირველი ასეთი ანალიზი გაკეთდება 2022 წლის სექტემბერში (მეორე სასესიო ეტაპის დასრულებისთანავე).

რეკომენდაციების გათვალისწინების მტკიცეულებად უსდ-ს წარმოდგენილი აქვს შესაბამისი დოკუმენტები დანართების სახით.

რჩევ(ებ)ი[8]

1. სასურველია, პროგრამის სასწავლო გეგმის "თავისუფალი კრედიტების" ბლოკის სახელწოდება შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მე-6 მუხლის მე-3, 5 და 6 პუნქტებთან.
2. სასწავლო პროგრამაში გაძლიერდეს შენობა-ნაგებობათა შემადგენელი ნაწილების შესახებ საკითხები.
3. ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე მეტი აქცენტების გაკეთება.
4. საგნის „შესავალი სპეციალობაში“ დასათაურების ფორმულირების შეცვლა.
5. სასწავლო კურსებში „საშენი მასალები“, „არქიტექტურა“ სავალდებულო ლიტერატურაში უახლესი ნაშრომების ასახვა.
6. სასურველია არჩევითი საგნების უფრო მეტად გაზრდა.
7. სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი იყოს ჯერ ასახსნელი თემა სათაურის სახით, შემდეგ კი - მისი მოკლე სტრუქტურა.
8. ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალის შემცირება ისე, რომ ბაკალავრიატის სტუდენტის მიერ მათი გაცნობა რეალისტური და მიღწევადი იყოს.
9. სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული ტექნიკური ხარვეზების გასწორება.
10. პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე მუშაობის გაგრძელება.
11. სწავლება-სწავლის მეთოდების დასათაურებასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზების გასწორებადაზუსტება.
12. სასურველია, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია “, მკაფიოდ გაიწეროს პროფესორისა და მოწვეული პერსონალის რაოდენობისა და დატვირთვის განსაზღვრის პირობების შესახებ ინფორმაცია.

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

13. სასურველია, გადაიხედოს სილაბუსებში გაწერილი სასწავლო რესურსი და ზოგიერთი მათგანი ჩანაცვლდეს უახლესი ლიტერატურით.
14. კარგი იქნება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დამსაქმებელთა კმაყოფილების ინდექსის კვლევა, ასევე, მათი გამოკითხვების ინტენსივობის გაზრდა.
15. პროფესორ-მასწავლებელთა გრადაციის განსაზღვრა, მათი კატეგორიების, უფლებამოსილებების, სამეცნიერო აქტივობებისა და შრომითი ურთიერთობების ინდივიდუალური ხასიათის გათვალისწინებით.
16. კარგი იქნება, შიდა კვლევების ანალიზი პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ გრანტების მოძიებისა და საერთაშორისო პროექტებში მათი ჩართულობის გააქტიურების მექანიზმების მოძიება-შემუშავებისთვის.

რჩევების გათვალისწინების მტკიცეულებად უსდ-ს წარმოდგენილი აქვს შესაბამისი დოკუმენტები დანართების სახით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

რჩევა I გადაწყვეტა - რჩევა გათვალისწინებული იქნა მუშა ჯგუფის მიერ. სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით ტერმინი „თავისუფალი კრედიტები“ ჩანაცვლდა ტერმინით „თავისუფალი კომპონენტი“. სასწავლო კურსები „აკადემიური წერა“ და „გარემოს დაცვა და შრომის უსაფრთხოება“, როგორც სავალდებულო კურსები, გადატანილი იქნა ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო კურსებში.

რჩევა II გადაწყვეტა - რჩევა გათვალისწინებული იქნა მუშა ჯგუფის მიერ. სილაბუსების ავტორებთან ერთად გადაიხედა სასწავლო კურსები, მოხდა თემატიკაში შენობა-ნაგებობების შემადგენელი კონსტრუქციებისა და კონსტრუქციული ელემენტების უფრო მეტად წარმოჩენა. კერძოდ ცვლილებები განხორციელდა შემდეგ სასწავლო კურსებში: „სამშენებლო კონსტრუქციები 1, 2, 3“ (კოჭები, კოჭოვანი უჯრედები, წამწეები, გადახურვები, თხელკედლიანი კონსტრუქციები, თაღები, ჩარჩოები, კამარები), „გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები“ (ლენტური საძირკვლები, წერტილოვანი საძირკვლები, ხიმინჯები, ფუძეები), „შენობა-ნაგებობებათა არქიტექტურა“ (სტრუქტურული ნაწილები, კონსტრუქციული სქემები, კონსტრუქციული ელემენტების პროექტირების ნორმები), „სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია“ (საძირკვლები, კედლის კონსტრუქციები, გადახურვები, სახურავები, ფილები, კოჭები, რიგელები, საინჟინრო ქსელები), „ლითონის კონსტრუქციების დაგეგმარება“ (ნაგებობათა შედგენილობა, კონსტრუქციის და მისი ელემენტების გამოხაზვა; კონსტრუქციის ძირითადი ელემენტების გაანგარიშება), საავტომობილო გზების დაგეგმარების საფუძვლები“ (საავტომობილოგზებისელემენტები, ყრილები, ფერდოები, საფარები, ხიდები, ესტაკადები).

რჩევა III გადაწყვეტა - პროგრამის მუშა ჯგუფის მიერ, განმახორციელებელ პერსონალთან ერთად, განხილული იქნა აღნიშნული რჩევა. მიღებული იქნა შესაბამის სასწავლო კურსებში ინფორმაციული

---

[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

ტექნოლოგიების პრაქტიკული უნარების გაძლიერებისათვის სწავლების მეთოდების და კურსების სტრუქტურის ოპტიმიზაციის, კურსების შინაარსში ცვლილებების გადაწყვეტილება. აღნიშნული ცვლილებები შეეხო შემდეგ სასწავლო კურსებს: „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ (ოპერაციული სისტემები, ტექსტური რედაქტორი, ცხრილური რედაქტორი, პრეზენტაციების რედაქტორი, ბრაუზერები); „საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა“ (ლაბორატორიული პრაქტიკუმი 45საათი, AutoCAD-ის გრაფიკული პაკეტის გამოყენება საინჟინრო ნახაზების შესრულებისათვის); თეორიული მექანიკა 1, 2 (პრაქტიკული საინჟინრო ამოცანების გადაწყვეტის დროს მათემატიკურ კომპიუტერულ პროგრამა Mathcad-ის პრაქტიკული გამოყენება); „სამშენებლო ხაზვა 2“ (AutoCAD-ის პროგრამული პაკეტის გამოყენებით სამშენებლო გრაფიკული დოკუმენტების შექმნა); „საინჟინრო გეოდეზია -2“ (GPS სისტემების და გეოსაინფორმაციო სისტემების გამოყენება გეოდეზიური სამუშაოების შესასრულებლად); „შენობა ნაგებობების არქიტექტურა“ (ლაბორატორიული პრაქტიკუმი - 30 სთ, კომპიუტერული პროგრამა ArchiCAD-ის გამოყენებით სამშენებლო გრაფიკული დოკუმენტების შექმნა). ინფორმაციული ტექნოლოგიების პრაქტიკული უნარების გაძლიერების მიზნით პროგრამას თავისუფალ კომპონენტში დაემატა არჩევითი კურსი „დაპროგრამების საფუძვლები“.

რჩევა IV გადაწყვეტა - სილაბუსების ავტორისა და პროგრამის მუშა ჯგუფის კოორდინაციით მოხდა სასწავლო კურსის დასათაურების შეცვლა და შემდეგი ფორმულირებით იქნა წარმოდგენილი „სამშენებლო საქმის შესავალი“.

რჩევა V გადაწყვეტა - სილაბუსების ავტორების მიერ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტთან თანამშრომლობით, შემოთავაზებული იქნა სავალდებულო ლიტერატურაში ახალი გამოცემების ჩამატება და ჩანაცვლება. საშენი მასალების კურსში სავალდებულო ლიტერატურაში ჩასმული იქნა ა. ჩიქოვანი „საშენი მასალები“ (2019 წელი) და ა. ნადირაძე „საშენი მასალები და ნაკეთობები“ 2010 წელი); შენობა ნაგებობების არქიტექტურის კურსში, სავალდებულო ლიტერატურაში დაემატა ვ. ფირცხალავა., გ. ხმალაძე., „დაპროექტების ფუნქციური საფუძვლები“ (2013 წელი) და ღონღაძე გ., Graphisoft ArchiCAD - ბაზური არქიკადი. ამასთან ერთად მოხდა მთლიანად ლიტერატურის ოპტიმიზაცია, ბაკალავრიატის დონისთვის მისაღები რაოდენობითა და შინაარსით, სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის დატოვების თვალსაზრისით.

რჩევა VI გადაწყვეტა - რჩევა გათვალისწინებული იქნა მუშა ჯგუფის მიერ. თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში IV, V, VI და VIII სემესტრებში თავისუფალი არჩევანის სახით პროგრამაში შეთავაზებული არის 11 სასწავლო კურსი.

რჩევა VII გადაწყვეტა - რჩევა გათვალისწინებული იქნა სასწავლო კურსების სილაბუსების ავტორების მიერ. პროგრამაში არსებული რიგი სილაბუსების მსგავსად, სხვა კურსების შინაარსშიც, სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების თემატიკა ჩაშლილი იქნა მოკლე სტრუქტურის სახით.

რჩევა VIII გადაწყვეტა - რჩევა გათვალისწინებული იქნა სასწავლო კურსების სილაბუსების ავტორების მიერ. მოხდა რიგი სილაბუსების ლიტერატურის განახლება და ოპტიმიზაცია.

რჩევა IX გადაწყვეტა - რჩევა გათვალისწინებული იქნა სასწავლო კურსების სილაბუსების ავტორების და სამუშაო ჯგუფის მიერ. მოხდა სილაბუსების ტექსტის გადამოწმება შესწორებული იქნა ყველა მითითებული და აღმოჩენილი ტექნიკური ხარვეზი. (იხილეთ დანართი 4)

რჩევა X გადაწყვეტა - არ არის წარმოდგენილი.

რჩევა XI გადაწყვეტა - რჩევა გათვალისწინებული იქნა სასწავლო კურსების სილაბუსების ავტორების და სამუშაო ჯგუფის მიერ. მოხდა სილაბუსების სწავლასწავლების მეთოდების ანალიზი და მის საფუძველზე ოპტიმიზაცია. შეთავაზებების საფუძველზე ავტორების მიერ სილაბუსებში გასწორებული იქნა გამოყენებული სწავლა სწავლების მეთოდების დასახელებები, სწავლების პროცესში ჩართული იქნა ისეთი თანამედროვე მეთოდები, როგორიცაა: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება,

გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ინდუქცია და დედუქცია, ქმედებაზე ორიენტირებული მეთოდები. (იხილეთ დანართი 4).

რჩევა XII გადაწყვეტა - არ არის წარმოდგენილი.

რჩევა XIII გადაწყვეტა - რჩევა გათვალისწინებული იქნა სასწავლო კურსების სილაბუსების ავტორების მიერ. მოხდა რიგი სილაბუსების ლიტერატურის განახლება და ოპტიმიზაცია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტთან თანამშრომლობით, შემოთავაზებული იქნა სავალდებულო ლიტერატურაში ახალი გამოცემების ჩამატება ან/და ჩანაცვლება.

რჩევა XIV გადაწყვეტა - არ არის წარმოდგენილი.

რჩევა XV გადაწყვეტა - არ არის წარმოდგენილი.

რჩევა XVI გადაწყვეტა - შიდა კვლევების პროცესი მიმდინარეობს სასწავლო წლის განმავლობაში და მისი შეჯამება ხდება შემდეგი სასწავლო წლის დაწყებისას. ამ პროცესში პროგრამის მუშა ჯგუფისა და ხელმძღვანელის ჩართულობით მონაწილეობს უნივერსიტეტის კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრი,რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს კვლევითი აქტივობების განვითარებას როგორც აკადემიურ პერსონალში, ასევე სტუდენტებში. ცენტრი მხარს უჭერს აკადემიურ პერსონალს მოიპოვონ გრანტები, აღმოაჩინონ ახალი შესაძლებლობები და მიმართულებები კვლევის ნებისმიერ სფეროში, ეხმარება მათ სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებაში და საშუალებას აძლევს სტუდენტებსა და დოქტორანტებს განავითარონ მათი კვლევითი აქტივობები. ცენტრი შეისწავლის უნივერსიტეტის კვლევით პოტენციალს და ამზადებს პერიოდულ ანგარიშებს. ცენტრის ხელშეწყობით ხდება კვლევების სტიმულირება და სამეცნიერო გრანტებში და კონკურსებში მონაწილეობის ხელშეწყობა.

დამატებითი ინფორმაცია[10]

---

[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.1 პროგრამის მიზნები
რეკომენდაცია I[14]	რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. დაკორექტირდა და ბაზრის მოთხოვნების მიხედვით მოხდა სწავლის შედეგების ფორმულირება. კერძოდ კვლევის ანალიზით, შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად, პროგრამის მუშა ჯგუფის მიერ მოხდა პროგრამის სწავლის შედეგების რევიზია და მოთხოვნებთან დაახლოება. სწავლის შედეგების ჩამონათვალი დეტალიზებულია და გაწერილია კონცენტრაციების შესაბამისად და მიხედვით.
რჩევა[15]	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობა“, კურიკულუმი - დანართი 1 - დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულების და სტუდენტების კვლევების ანალიზი - დანართი 2

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია	
შეფასება	
რჩევა I	სასურველია, პროგრამის სასწავლო გეგმის "თავისუფალი კრედიტების" ბლოკის სახელწოდება შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მე-6 მუხლის მე-3, 5 და 6 პუნქტებთან.

[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[12] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[13] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[15] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია და გასწორებულია შესაბამისად.
რჩევა II	სასწავლო პროგრამაში გაძლიერდეს შენობა-ნაგებობათა შემადგენელი ნაწილების შესახებ საკითხები
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია - ცვლილებები განხორციელდა შემდეგ სასწავლო კურსებში: „სამშენებლო კონსტრუქციები 1, 2, 3“ (კოჭები, კოჭოვანი უჯრედები, წამწეები, გადახურვები, თხელკედლიანი კონსტრუქციები, თაღები, ჩარჩოები, კამარები), „გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები“ (ლენტური საძირკვლები, წერტილოვანი საძირკვლები, ხიმინჯები, ფუძეები), „შენობა-ნაგებობებათა არქიტექტურა“ (სტრუქტურული ნაწილები, კონსტრუქციული სქემები, კონსტრუქციული ელემენტების პროექტირების ნორმები), „სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია“ (საძირკვლები, კედლის კონსტრუქციები, გადახურვები, სახურავები, ფილები, კოჭები, რიგელები, საინჟინრო ქსელები), „ლითონის კონსტრუქციების დაგეგმარება“ (ნაგებობათა შედგენილობა, კონსტრუქციის და მისი ელემენტების გამოხაზვა; კონსტრუქციის ძირითადი ელემენტების გაანგარიშება), „საავტომობილო გზების დაგეგმარების საფუძვლები“ (საავტომობილო გზების ელემენტები, ყრილები, ფერდოები, საფარები, ხიდები, ესტაკადები).
რჩევა III	ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე მეტი აქცენტების გაკეთება
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია. დაკორექტირებულ იქნა სასწავლო კურსები.
რჩევა VI	სასურველია არჩევითი საგნების უფრო მეტად გაზრდა
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია. არჩევითი საგნების რაოდენობა გაზრდილია 11-მდე.
მტკიცებულებ(ები)ა	- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობა“ კურიკულუმი - დანართი 1 - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობა“ სასწავლო გეგმა - დანართი 3 - სასწავლო კურსების სილაბუსები - დანართი 4

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი

რეკომენდაცია II	სასწავლო კურსების („შესავალი სპეციალობაში“, „მშენებლობის საკანონმდებლო უზრუნველყოფა“ და სხვა) შინაარსის შეცვლა საგნისთვის რელევანტური საკითხების წინა პლანზე წამოწევის მიზნით.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. მოთხოვნის მიხედვით მოხდა სასწავლო კურსების სილაბუსების ოპტიმიზირება. წინა პლანზე იქნა წამოწეული კურსების სწავლის შედეგებისა და დასახელების შესაბამისი თემატიკა. სასწავლო კურსში „შესავალი სპეციალობაში“ შინაარსიდან ამოღებულია სასწავლო პროცესის სტრუქტურისა და ორგანიზაციის ამსახველი თემები და მათ მაგიერ დამატებულია მშენებლობის სფეროს ზოგადი მიმოხილვის, ძირითადი მიმართულებების, სამშენებლო მასალებისა და კონსტრუქციების არსებული და სამომავლო ტენდენციების შესახებ საკითხები. სასწავლო კურსში „მშენებლობის საკანონმდებლო უზრუნველყოფა“ წინა პლანზე იქნა წამოწეული მშენებლობის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტები და ტექნიკური რეგულაციები.
რეკომენდაცია III	რეკომენდირებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების „არქიტექტურა“, „მასალათა გამძლეობა“, „საშენი მასალები“ „სამშენებლო მექანიკა 1,2“, „სამშენებლო ხაზვა 2“ შინაარსი, მოცულობა (გაზრდის მიმართულებით) და შესაბამისობაში მოვიდეს კურსების სათაური და შინაარსი სწავლების საფეხურთან და პროგრამის სწავლის შედეგებთან.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. კერძოდ, სილაბუსებში შეტანილი იქნა შემდეგი ცვლილებები: „არქიტექტურა“ – შეცვლილია სასწავლო კურსის სათაური და ჩამოყალიბდებულ ფორმულირებით: „შენობა ნაგებობების არქიტექტურა“, დაზუსტებულია სწავლა-სწავლების მეთოდები, შეიცვლილია კურსის ფორმატი, ყურადღება დათმობილი აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას შენობების დაგეგმარებისას (პროგრამული პაკეტის ArchiCAD-ის შესწავლის ლაბორატორიულ პრაქტიკუმს დაემატა 15 საათი.) დაზუსტებულია ლექციების თემატიკა, ძირითად ლიტერატურაში დაემატა თანამედროვე გამოცემები. „მასალათაგამძლეობა“ – დაზუსტებულია კურსის მიზანი და სწავლის შედეგები პროგრამის მიზანის და სწავლის შედეგების გათვალისწინებით. დაზუსტებულია სწავლა-სწავლების მეთოდები, ძირითად ლიტერატურას დაემატა ახალი გამოცემები.

	„საშენი მასალები“ – დაზუსტებულია კურსის სწავლის შედეგები, სწავლა-სწავლების მეთოდები, ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალში ჩანაცვლდა ძველი გამოცემები ახლებით, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისად ცვლილებებია განხორციელებული კურსის შინაარსში - დაზუსტებულია ლექციებისთემატიკა, დაემატა პრაქტიკული მეცადინეობები სალექციო თემატიკის მიხედვით. „სამშენებლო მექანიკა 1, 2“- დაზუსტებულია კურსების სწავლის შედეგები, სწავლა-სწავლების მეთოდები, ძირითად ლიტერატურაში ჩამატებულია ახალი გამოცემები, განხორციელებულია კურსის შინაარსის ოპტიმიზაცია. „სამშენებლო ხაზვა 2“ - დაზუსტებულია კურსის სწავლის შედეგები, სწავლა-სწავლების მეთოდები, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისად ცვლილებებია შეტანილი კურსის შინაარსში.
რჩევა IV	საგნის „შესავალი სპეციალობაში“ დასათაურების ფორმულირების შეცვლა
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია
რჩევა V	სასწავლო კურსებში „საშენი მასალები“, „არქიტექტურა“ სავალდებულო ლიტერატურაში უახლესი ნაშრომების ასახვა
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია
რჩევა VII	სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი იყოს ჯერ ასახსნელი თემა სათაურის სახით, შემდეგ კი - მისი მოკლე სტრუქტურა
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია
რჩევა VIII	ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალის შემცირება ისე, რომ ბაკალავრიატის სტუდენტის მიერ მათი გაცნობა რეალისტური და მიღწევადი იყოს
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია
რჩევა IX	სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული ტექნიკური ხარვეზების გასწორება
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია
რჩევა XI	სწავლება-სწავლის მეთოდების დასათაურებასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზების გასწორება-დაზუსტება
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია

რჩევა XIII	სასურველია, გადაიხედოს სილაბუსებში გაწერილი სასწავლო რესურსი და ზოგიერთი მათგანი ჩანაცვლდეს უახლესი ლიტერატურით
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია
მტკიცებულებ(ები)ა	- სასწავლო კურსების სილაბუსები - დანართი 4

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია IV	პრაქტიკულ კომპონენტზე მეტი აქცენტების გაკეთება სწავლის შედეგების სრულად მისაღწევად
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების მიზნით განხორციელებულია შემდეგი ცვლილებები: სასწავლო კურსში „შენობა ნაგებობების არქიტექტურა“ ლაბორატორიულ პრაქტიკუმს დაემატა 15 საათი, პროგრამული პროდუქტის პრაქტიკულად ათვისების გასაძლიერებლად; პროგრამის კონცენტრაციების საკვანძო სასწავლო კურსებში „სამოქალაქო და სამრეწველო შენობების დაგეგმარება“, „საავტომობილო გზების დაგეგმარების საფუძვლები“, „ლითონის კონსტრუქციების დაგეგმარება“ დამატებულია პრაქტიკუმი საპრეზენტაციო ნაშრომის სახით მცირე სამშენებლო პროექტის შესრულება და პრეზენტაცია.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	- სასწავლო კურსების სილაბუსები - დანართი 4

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები
რეკომენდაცია V	სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევისთვის სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდების დაზუსტება, გამრავალფეროვნება, დარგის სპეციფიკისა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. განხორციელებულია სილაბუსების სწავლა-სწავლების მეთოდების ანალიზი და მის საფუძველზე ოპტიმიზაცია. ავტორების მიერ სილაბუსებში გასწორებული იქნა გამოყენებული სწავლა-სწავლების

	მეთოდების დასახელებები, სწავლების პროცესში ჩართული იქნა ისეთი თანამედროვე მეთოდები, როგორიცაა: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ინდუქცია და დედუქცია, ქმედებაზე რიენტირებული მეთოდები.
რეკომენდაცია VII	უშუალოდ სასწავლო პროცესში ანალიტიკური უნარების განმავითარებელ მეთოდებზე (ანალიზი და სინთეზი, შემთხვევის ანალიზი და სხვა) მეტი ყურადღების გამახვილება
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. განხორციელებულია სილაბუსების სწავლა-სწავლების მეთოდების ანალიზი და მის საფუძველზე ოპტიმიზაცია. ავტორების მიერ სილაბუსებში გასწორებული იქნა გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდების დასახელებები, სწავლების პროცესში ჩართული იქნა ისეთი თანამედროვე მეთოდები, როგორიცაა: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ინდუქცია და დედუქცია, ქმედებაზე ორიენტირებული მეთოდები.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	- სასწავლო კურსების სილაბუსები - დანართი 4

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.6. სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია VI	შეფასების ფორმებისა და აქტივობების გაზრდა ზოგიერთ საგანში
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. ზოგიერთ სილაბუსში დაკორექტირებულ იქნა შეფასების ფორმები. ამავე დროს უსდ ყოველწლიური შეფასების შედეგად მიღებული შედეგების მიხედვით აპირებს გააგრძელოს აღნიშული რეკომენდაციის გათვალისწინება და გამოვლენილი საჭიროების მიხედვით განახორციელოს ცვლილებები. უსდ გამოიყენებს PDCA ციკლურ პროცესს, გააუმჯობესებს სტუდენტის ცოდნის შეფასებაში გამოყენებული მიდგომები და უზრუნველყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე კრიტერიუმების გამოყენება. გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამების ყოველწლიურად გადახედვა მათი ასახვა წლიურ თვითშეფასების ანგარიშში. ასევე პროგრამის განვითარების

	ფარგლებში სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევის, ყოველსემესტრული მოსწრების ანალიზის საფუძველზე მოხდება შეფასების სისტემის ანალიზი სილაბუსების დონეზე და იგეგმება ცვლილებები, რომელთა დამტკიცება ხდება ფაკულტეტის და აკადემიურ საბჭოზე. კვლევების საფუძველზე შეფასების ფორმებისა და აქტივობების ცვლილებები უკვე განხორციელებულია შემდეგ სასწავლო კურსებში: „სამშენებლო საქმის შესავალი"; „საშენი მასალები", „მშენებლობის საკანონმდებლო უზრუნველყოფა", „საინჟინრო გეოდეზია -2", „შენობა ნაგებობების არქიტექტურა" და სხვა.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	- სასწავლო კურსების სილაბუსები - დანართი 4

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
რეკომენდაცია VIII	უნივერსიტეტმა უზრუნველყოს როგორც აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის ამაღლებასა და შენარჩუნება, ისე შეფასების თანამედროვე მეთოდებზე, ფორმებსა და კრიტერიუმებზე ტრენინგების ორგანიზება
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. კერძოდ, 2021-2022 სასწავლო წლის განმავლობაში პროგრამის აკადემიურმა პერსონალმა მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ძალებით ორგანიზებულ შემდეგი თემატიკის სემინარებში: ▪ სწავლება-სწავლის თანამედროვე მეთოდები; ▪ ბლუმის ტაქსონომია და სწავლის შედეგების ფორმირება სასწავლო კურსის სილაბუსებში; ▪ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, საინჟინრო მიმართულების სასწავლო კურსებში
რჩევა XVI	კარგი იქნება, შიდა კვლევების ანალიზი პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ გრანტების მოძიებისა და საერთაშორისო პროექტებში მათი ჩართულობის გააქტიურების მექანიზმების მოძიებაშემუშავებისთვის
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია
მტკიცებულებ(ები)ა	- უნივერსიტეტის კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრის ვებ.გვერდი. http://atsu.edu.ge/index.php/research-geo

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.1. შიდა ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია IX	რეკომენდირებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. შემუშავებულია სწავლის შედეგების მიღწევადობის შეფასების ოთხ ეტაპიანი ციკლი, რომელიც მოიცავს: 1. სწავლის შედეგების ჩამოყალიბება. სამუშაო ჯგუფის მიერ, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, აკადემიური პერსონალის და სტუდენტების გამოკითხვების, დასაქმების ბაზრის და დარგის განვითარების ტენდენციების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია და და მუდმივად ხდება პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგი; 2. სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობები. მიღწევის შესაძლებლობები მოიცავს: სასწავლო კურსების შესწავლას და შესაბამისი პრაქტიკული უნარების და ცოდნის ფორმირებას, პრაქტიკებს, დავალებებს და სხვა სახის აქტივობებს. ამ მიზნით შედგენილი არის კურიკულუმის რუკა, რომელიც აკავშირებს სასწავლო და სხვა აქტივობებს სწავლის შედეგებთან; 3. შეფასება ხდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით. სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პირდაპირ მტკიცებულებად გამოიყენება: ტესტები, პორტფოლიოები, დავალებები, გამოცდების შედეგები, საველე გამოცდილება, სხვა შეფასებები. სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის არაპირდაპირი მტკიცებულებებია: დასაქმების მაჩვენებელი, პროგრამის დასრულების მაჩვენებელი, გამოკითხვები და კითხვარები, ფოკუს ჯგუფის ინტერვიუები. შედეგის მიღწევის დონის მტკიცებულება მოიცავს იმ გამოცდების, დავალებების და აქტივობების კომპონენტების შეფასების ქულებს რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მხოლოდ ერთ კონკრეტულ სწავლის შედეგს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება შეფასების სქემის მიხედვით, რომელიც მოიცავს შეფასების რუბრიკას და სამიზნე ნიშნულებს თითოეულის სწავლის შედეგისათვის; 4. შეფასების შედეგების გამოყენება (Closing the Loop). შეფასების შედეგები გამოყენებულია პროგრამის განვითარებისათვის, კერძოდ მათი ანალიზის საფუძველზე ხდება: ცვლილება

	სასწავლო კურსის შინაარსსა და მოთხოვნებში, კურსის სტრუქტურასა და წინაპირობებში, სწავლის შედეგების ცვლილება, შეფასების გეგმის ცვლილება, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება დაგეგმვისას და რესურსების მოძიებისას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, რის საფუძველზე შედგება შესაბამისი ანგარიში, რომელშიც ნაჩვენები არის რა შედეგები მიიღეს, რას ნიშნავს მიღებული მაჩვენებლები და რა ნაბიჯებია გადასადგმელი პროგრამის გასაუმჯობესებლად.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი - დანართი 5 - დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულების და სტუდენტების კვლევების ანალიზი - დანართი 2

თანდართული დოკუმენტაცია[16]

- ✓ დანართი 1 - საბაკალავრო პროგრამა „მშენებლობა“ - კურიკულუმი /5 ფურც/
- ✓ დანართი 2 - დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულების და სტუდენტების კვლევების ანალიზი (6 დოკუმენტი) - /68 ფურც/
- ✓ დანართი 3 - საბაკალავრო პროგრამა „მშენებლობა“ - სასწავლო გეგმა /5 ფურც/
- ✓ დანართი 4 - საბაკალავრო პროგრამა „მშენებლობა“ - სილაბუსები (24 დოკუმენტი) /172 ფურც/
- ✓ დანართი 5 - სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი /2 ფურც/

სულ 252 ფურცელი დანართი

/დანართის ნომრები უცვლელია და შეესაბამება უსდ-ს მიერ დანომრილს/

ექსპერტის ხელმოწერა

ალექსანდრე წაქაძე _____

[16] თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა